

შპს ისიდა

საიდენტიფიკაციო კოდი: 448382296

ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

კომპანიის რეკვიზიტები	1
შინაარსი	2
ფინანსური ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები	8
3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
3.3. გადახდილი ავანსები	9
3.4. მზა პროდუქცია	9
3.5. სხვა(მარაგები)	9
3.6. ძირითადი საშუალებები	10
3.7. სხვა არამატერიალური აქტივები	11
3.8. სავაჭრო ვალდებულებები	11
3.9. საგადასახადო ვალდებულებები	11
3.10. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11
3.11. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11
3.12. სხვა ვალდებულებები	11
3.13. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11
3.14. სულ მოკლევადიანი აქტივები	11
3.15. შემოსავლის აღიარება	12
3.16. ხარჯების აღიარება	12
3.17. სხვა საოპერაციო შემოსავალი	12
3.18. მოგების გადასახადი	13
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	13



ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს ისიდა

(ს/ნ : 448382296)

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	198,600	18,140
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.2	40,820	20,771
გადახდილი ავანსები	3.3	98,407	323
მზა პროდუქცია	3.4	3,237,730	2,489,852
სხვა(მარაგები)	3.5	6,857	6,857
ძირითადი საშუალება	3.6	145,917	187,647
სხვა არამატერიალური აქტივები	3.7	1,458	1,458
სულ აქტივები		3,729,789	2,725,048
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.8	243,927	242,929
საგადასახადო ვალდებულებები	3.9	12,272	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3.10	0	5,000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3.11	200,231	876
სხვა ვალდებულებები	3.12	0	0
სულ ვალდებულებები		456,430	248,805
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,458,607	2,336,709
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.13	43,183	139,534
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		771,569	0
სულ საკუთარი კაპიტალი		3,273,359	2,476,243
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,729,789	2,725,048
სულ მოკლევადიანი აქტივები	3.14	3,582,414	2,535,943

დირექტორი:

/რევაზ მაკარაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ლევან ქველამაძე/



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დასახელება	შენიშვნა	01.01.2022 31.12.2022	01.01.2021 31.12.2021
ამონაგები			
საქონლის რეალიზაციიდან	3.15	2,378,147	2,108,016
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3.16	-1,891,815	-1,702,159
საერთო მოგება		486,332	405,857
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3.17	0	47,255
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.16	-166,072	-162,302
ცვეთა და ამორტიზაცია	3.16	-47,604	-48,029
საპროცენტო ხარჯი	3.16	-1,980	-1,759
იჯარის ხარჯი		-139,541	0
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.16	-140,164	-231,494
სულ საოპერაციო ხარჯები		-495,361	-396,329
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო		52,212	0
მოგების გადასახადი	3.18	0	0
მოგება / (ზარალი)		43,183	9,528

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/ რევაზ მაყარაძე
/ ლევან ქველავაძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დასახელება	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		2,476,243	2,336,709
კაპიტალის გაზრდა		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		753,933	130,006
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		3,273,359	2,476,243

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/რევაზ მაჭავაძე/

/ლევან ქველავაძე/



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	01.01.2022- 31.12.2022	01.01.2021- 31.12.2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	332,555	-666,235
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-6,928	-28,498
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-197,377	644,028
ფულადი სახსრების შემოსვლა(გასვლა)	128,250	-50,705
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა	52,210	68,845
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	18,140	0
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	198,600	18,140

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/რევაზ მაჭარაძე/

/ლევან ქველავი/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ისიდა“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 25/11/2010 წ.; რეესტრაციის #B18209350, რეესტრაციაში გატარებულია ქ. თბილისი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 10/03/2011წ-დან. იურიდიული მისამართი: საქართველო, ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ., №50; ბ.39 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #26 საიდენტიფიკაციო ნომერი: 448382296

დირექტორი:

რევაზ მაკარაძე

საქმიანობის სახე: საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, თიხის ჭურჭლით, ფაიფურიით და სამზარეულოს საკუთნოებით

ეკონომიკური საქმიანობის კოდი: **47592**

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ისიდა-ს პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო



პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2022	31.12.2021
აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ევრო	2.8844	3.5040



კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

დასახელება	ანგარიში	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (GEL)	1110	28543
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში (GEL)	1210	148,968
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220	124
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (EUR)	1220	7,230
სულ ფულადი სახსრები:		198,600 (GEL)

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის მომსახურების რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4 მზა პროდუქცია

მზა პროდუქცია (საქონელი) მოიცავს ყველა დანახარჯს რის შედეგადაც პროდუქცია მზადაა გასაყიდად.

3.5 სხვა(მარაგები)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).



3.6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
ოფისის აღჭურვილობა	5-10	51382	28917	22465
ავეჯი და ინვენტარი	5-10	70955	22420	48535
სატრანსპორტო საშუალებები	5-10	70478	45005	25473
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა #1	5-10	259178	185384	73794
სხვა	5-10	3368	2245	1123

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.



3.7 სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალურ აქტივებში - აღირიცხება, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები, რომელიც აღიარებულია გრძელვადიან აქტივად და შეესაბამება არამატერიალურ აქტივად აღიარების ჭეშმარიტების სტანდარტს.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.9. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2022 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს.

3.10 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

5.10 ვალდებულებების შესრულების ვალდებულება
კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის თანამშრომლეთა მიმართ არ გააჩნია ვალდებულება სახელფასო

3.11. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაჩეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.12. სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, აღნიშნული ვალდებულება კომპანიას წლის ბოლოსთვის არ ჰქონია.

3.13. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს ზარალი, რაც ასახულია ანგარიშგებაში.

3.14 სულ მოკლევადიანი აქტივები

სულ მოკლევადიანი აქტივები აღიარდება აქტივებში.



3.15 შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს (უწევს) გადასცემს მომსახურებას, საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.16 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკურ სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალში აისახება საშუამავლო მომსახურებით მიღებული შემოსავლები, აღნიშნულ პერიოდში კომპანიას არ ჰქონია მსგავსი ტიპის შემოსავალი



3.18 მოგების გადასახადი

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ ჰქონია მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებიდან არცერთი ოპერაცია, შესაბამისად არ ჰქონია მოგების გადასახადის დასაბეგრი ბაზა.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2022 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2022 წელი

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/რევაზ მაკარაძე

/ლევან ქველიძე

